

MAP მონიტორინგის ანგარიში - I
მონიტორინგის პერიოდი: სექტემბერი 2020 – იანვარი 2021

ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი
EBRD-ის პროექტის ნომერი 46778
საქმე 2018/08

აპრილი 2021

შენიშვნა: ეს საქმე მიღებულია პროექტის გასაჩივრების (PCM), EBRD-ის ყოფილი ანგარიშვალდებულების მექანიზმის ფარგლებში, 2014 წლის PCM-ის პროცედურული წესების შესაბამისად და მონიტორინგის ეტაპი თავიდან წარიმართებოდა PCM-ის წესებისა და პროცედურების მიხედვით.

2020 წლის 1 ივლისიდან, პროექტის გასაჩივრების მექანიზმი შეცვალა პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელმა მექანიზმმა (IPAM), რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის საფუძველზე. საქმის გადასვლის შესახებ პოლიტიკის დებულებების შესაბამისად, ნენსკრას ჰიდროელექტრო სადგურის პროექტის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება ზემოთ ხსენებული თარიღიდან 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკასთან და დამტკიცებულ MAP მონიტორინგის გეგმასთან შესაბამისობით.

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM) EBRD-ის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმია. ის განიხილავს პროექტით დაზარალებული ადამიანებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წამოჭრილ, გარემოს დაცვის, სოციალურ და პროექტის საჯაროობასთან დაკავშირებულ საკითხებს. IPAM-ს აქვს რეაგირების ორი საშუალება: i) პრობლემის მოგვარება, რომელიც მხარს უჭერს მოსარჩელესა და კლიენტებს შორის დიალოგს, რათა გადაიჭრას გარემოს დაცვის, სოციალური და ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებული საკითხები, ბრალის ან დანაშაულის მიკუთვნების გარეშე; ან ii) შესაბამისობის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს შეასრულა თუ არა, EBRD-მა თავისივე გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკა და ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა პროექტთან დაკავშირებით.

IPAM-ის შესახებ ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე: ipam@ebrd.com ან ეწვიეთ [IPAM website](http://IPAM.website).

საკონტაქტო ინფორმაცია პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი One Exchange Square ლონდონი EC2A 2JN ტელ: +44 (0)20 7338 6000 Email: ipam@ebrd.com	როგორ შევიტანოთ საჩივარი IPAM-ში EBRD-ის პროექტის გარემოს დაცვის, სოციალური კუთხით შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების გასაჩივრება შესაძლებელია ელ. ფოსტით, ტელეფონით, მითითებულ მისამართზე წერილის გამოგზავნით ან ონლაინ ფორმის შევსებით https://www.ebrd.com/project-finance/ipam.html
--	---

სარჩევი

აბრევიატურები.....	Error! Bookmark not defined.
მოკლე შეჯამება.....	Error! Bookmark not defined.
1. შესავალი.....	Error! Bookmark not defined.
1. ზოგადი ინფორმაცია	Error! Bookmark not defined.
2.1 შესაბამისობის მიმოხილვის დასკვნები.....	Error! Bookmark not defined.
2.2. შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციები	Error! Bookmark not defined.
2.3. EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა	11
3. მონიტორინგის ანგარიში.....	Error! Bookmark not defined.
3.1 პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის აქტივობები	Error! Bookmark not defined.
3.2 მოსარჩელეთა ხედვა	15
3.3 მონიტორინგის დასკვნები	16
3.4 ცხრილი 1: MAP-ის განხორციელების პროგრესი - პირველი მონიტორინგის პერიოდში განხორციელებული მოქმედებები და ამჟამინდელი სტატუსი.....	18

*თუ ამ ანგარიშში სხვაგვარად არ არის მითითებული, აქ გამოყენებულია ტერმინები განსაზღვრულია
2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკით.*

აბრევიატურები

აბრევიატურა სრული ფორმა

EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
ESIA	გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასება
ESAP	გარემოს დაცვისა და სოციალური სამოქმედო გეგმა
ESD	EBRD-ის გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების დეპარტამენტი
ESP	EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა
IPAM	პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმი
IP	მკვიდრი მოსახლეობა
გამსესხებლები / დონორები	იგულისხმება პროექტის დამფინანსებლები, მათ შორის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), აზიის განვითარების ბანკი (ADB), აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB), კორეის განვითარების ბანკი (KDB) კორეის სავაჭრო დაზღვევის კორპორაცია (K-SURE)
MAP	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა
MDB	მრავალმხრივი განვითარების ბანკი
OGC	გენერალური მრჩეველის სამსახური
PAP ან Policy	IPAM-ის ანგარიშვალდებულების პოლიტიკა
PCM	პროექტის გასაჩივრების მექანიზმი
პროექტი	ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი (46778) საქართველოში

მოკლე შეჯამება

2018 წლის 31 მაისს, პროექტის გასაჩივრების მექანიზმმა (PCM), ნენსკრა ჰესის პროექტთან ([Nenskra HPP \(46778\)](#)) დაკავშირებით, მიიღო საჩივარი საქართველოს ჭუბერის თემის წევრებისგან. მათთან ერთად სარჩელის თანაშემომტანები იყვნენ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საერთაშორისო ბანკების საქმიანობის მაკონტროლებელი ქსელი (CEE Bankwatch Network) და მწვანე ალტერნატივა (მოსარჩელები).

PCM ექსპერტმა, რომელიც პასუხისმგებელი იყო შესაბამისობის მიმოხილვაზე, გამოავლინა გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკის ხუთ (5) შესრულების სტანდარტთან შეუსაბამობა და წარმოადგინა თერთმეტი (11) პროექტის დონის და სისტემური რეკომენდაცია აღნიშნული შეუსაბამობის მოსაგვარებლად.

2014 წლის PCM-ის პროცედურული წესების შესაბამისად, EBRD-ის მენეჯმენტმა, ექსპერტის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე რეაგირებისთვის, მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) მოამზადა. მენეჯმენტმა მიმართა აუდიტის კომიტეტს MAP-ის პროექტის დასამტკიცებლად 2020 წლის 16 ივლისს. აუდიტის კომიტეტის წევრების უკუკავშირის შემდეგ, MAP-სა და საბჭოში მცირე ცვლილებები იქნა შეტანილი გაუპროტესტებლობის პროცედურის საფუძველზე, საბოლოო ვერსია დამტკიცდა 2020 წლის აგვისტოში, რაც მოიცავდა თერთმეტ (11) განსახორციელებელ ქმედებას.

შესაბამისობის განხილვის ანგარიში და დამტკიცებული მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) გამოქვეყნდა [IPAM-ის საქმეთა რეესტრში](#), 2020 წლის 11 აგვისტოს, ამრიგად, დაიწყო MAP-ის მონიტორინგის ეტაპი.

ეს ანგარიში მოიცავს მონიტორინგის პირველ პერიოდს, 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის იანვრამდე, საბჭოს მიერ MAP-ის დამტკიცებიდან და ასახავს MAP-ის განხორციელების სტატუსს. ამ პერიოდში, IPAM-მა შეადგინა [MAP-ის მონიტორინგის გეგმა](#), რომელიც გამოქვეყნდა 2020 წლის ნოემბერში [IPAM-ის საქმეთა რეესტრში](#), მონიტორინგის პროცესის წარმართვის მიზნით, რათა IPAM-მა ქმედებები ჩათვალოს შესრულებულად.

მონიტორინგის ამ პირველი პერიოდისთვის, MAP-მა აიღო რამდენიმე ვალდებულება მენეჯმენტის ქმედებებთან - 1, 4, 5, 8 და 10 დაკავშირებით. IPAM გაეცნო მენეჯმენტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას, იმუშავა ბანკის თანამშრომლებთან, რათა უკეთ გარკვეულიყო იმაში, თუ რამდენად ხდება კონკრეტული რეკომენდაციების შესრულება MAP-ის საშუალებით. გარდა ამისა, IPAM ვირტუალურად შეხვდა მოსარჩელებს, რომ მოესმინა მათი შეხედულებები და პრობლემები.

IPAM-ის ქმედებების მონიტორინგის საფუძველზე და თითოეული ქმედების შესრულების მოთხოვნების შესაბამისად, როგორც ეს მოცემულია MAP-ის

განხორციელების მონიტორინგის გეგმაში, IPAM-მა დაადგინა, რომ მოქმედება 1 i), მოქმედება 3 i), მოქმედება 4 i) და ii), მოქმედება 8 i) და მოქმედება 10 i) შესრულებულია. მოსარჩელების მოსაზრების გათვალისწინებით, IPAM ღიად ტოვებს ქმედება 5-ს, ფაზა 1, (სამაგიდო შესწავლა).

ქმედებების შეჯამება

S.No.	აქტივობა	ვადები
1.	შესაბამისობის განხილვის დასრულება	ივლისი 2020
2.	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის დამტკიცება	აგვისტო 2020
3.	MAP-ის მონიტორინგის გეგმა	ნოემბერი 2020
4.	მონიტორინგის პირველი ანგარიში, რომელიც მოიცავს 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის იანვრამდე პერიოდს	აპრილი 2021

IPAM გააგრძელებს სხვა ქმედებების მონიტორინგს, რომლებიც გათვალისწინებულია MAP-ის მონიტორინგის გეგმის შესაბამისად და ინფორმაციას გააზიარებს მათ სტატუსის შესახებ მომდევნო მონიტორინგის პერიოდში, რომელიც მოიცავს 2021 წლის თებერვლიდან 2021 წლის ივლისამდე პერიოდს.

2. შესავალი

ეს არის პირველი მონიტორინგის ანგარიში, რომელიც ეხება მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის განხორციელებას ნენსკრა ჰესის [საქმე 2018/03](#)-თან დაკავშირებით (46778). პროექტის საჩივრების მექანიზმმა (PCM) საქმე 2018 წელს დაარეგისტრირა და ანდრეა სალდარიამ, PCM ექსპერტმა, ჩაატარა საქმის შესაბამისობის მიმოხილვა 2014 წლის PCM წესების პროცედურის შესაბამისად. ამ უკანასკნელის შესაბამისად, შესაბამისობის განხილვის ანგარიში და მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) ანგარიშის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე რეაგირებისათვის EBRD-ის დირექტორთა საბჭოს წარედგინა 2020 წლის ივლისში, ხოლო MAP საბოლოოდ დამტკიცდა 2020 წლის 5 აგვისტოს.

2020 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკა (PAP), რითაც შეიცვალა 2014 წლის საპროცედურო წესები. შესაბამისად, PAP-ის V ნაწილში დადგენილი გარდამავალი დებულებების თანახმად, ნენსკრას პროექტის MAP-ის შესრულების მონიტორინგი IPAM-ის პასუხისმგებლობაა, PAP-ის მონიტორინგის დებულებების შესაბამისად (PAP-ის 2.8 პუნქტი).

2020 წლის მეორე ნახევარში IPAM-მა შეადგინა და გამოაქვეყნა ამ საქმის [მონიტორინგის გეგმა](#). ეს არის პირველი მონიტორინგის ანგარიში, რომელიც მოიცავს IPAM-ის

მონიტორინგის აქტივობებს მენეჯმენტის შესაბამის ქმედებებთან დაკავშირებით, 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის იანვრამდე პერიოდში.

3. ზოგადი ინფორმაცია

2018 წლის 31 მაისს, პროექტის გასაჩივრების მექანიზმმა (PCM), ნენსკრა ჰესის პროექტთან ([Nenskra HPP \(46778\)](#)) დაკავშირებით, მიიღო საჩივარი საქართველოს ჭუბერის თემის წევრებისგან. მათთან ერთად სარჩელის თანაშემომტანები იყვნენ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საერთაშორისო ბანკების საქმიანობის მაკონტროლებელი ქსელი (CEE Bankwatch Network) და მწვანე ალტერნატივა (მოსარჩელები).

PCM ექსპერტმა, რომელიც პასუხისმგებელი იყო შესაბამისობის მიმოხილვაზე, გამოავლინა ხუთ (5) ESP-ის შესრულების სტანდარტთან შეუსაბამობა და წარმოადგინა თერთმეტი (11) პროექტის დონის და სისტემური რეკომენდაცია აღნიშნული შეუსაბამობის მოსაგვარებლად.

2014 წლის PCM-ის პროცედურული წესების შესაბამისად, EBRD-ის მენეჯმენტმა, ექსპერტის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე რეაგირებისთვის, მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) მოამზადა. მენეჯმენტმა მიმართა აუდიტის კომიტეტს MAP-ის პროექტის დასამტკიცებლად 2020 წლის 16 ივლისს. აუდიტის კომიტეტის წევრებმა მოითხოვეს მცირე ცვლილებების შეტანა, რის შემდეგაც, გაუპროტესტებლობის პროცედურის საფუძველზე, საბჭომ საბოლოო ვერსია დაამტკიცა 2020 წლის აგვისტოში.

შესაბამისობის განხილვის ანგარიში და დამტკიცებული მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) გამოქვეყნდა [IPAM-ის საქმეთა რეესტრში](#), 2020 წლის 11 აგვისტოს, ამრიგად, MAP-ის მონიტორინგის ეტაპი დაიწყო.

2.1 შესრულების ანგარიშის დასკვნები

2020 წლის ივლისში ექსპერტმა დაადგინა, რომ ბანკმა არ შეასრულა 2014 წლის ESP-ის შესრულების მოთხოვნები 7, 1, 5, 8 და 10. შეუსაბამობის ეს შემთხვევები უკავშირდება მოსარჩელეთა მიერ წამოჭრილ საკითხებს შემდეგნაირად:

PR 7-თან მიმართებაში - მკვიდრი მოსახლეობა

[...] ბანკის მენეჯმენტმა ადეკვატურად არ შეაფასა კლიენტის მიერ PR 7 დასაშვებობის კრიტერიუმების პოტენციური გამოყენების შემოწმება. მიუხედავად იმისა, რომ ბანკის მენეჯმენტმა სწორად დაადგინა, რომ საჭირო იყო კლიენტის მიერ GIP-ს გამოყენება PR7-ის დასაშვებობის კრიტერიუმების შეფასებისას, ბანკის მენეჯმენტი შემდგომში აღარ დარწმუნებულა, რომ ეს მოთხოვნები შესრულდა. კერძოდ, EBRD-იმ დაამტკიცა კლიენტის ანალიზი PR 7-ის დასაშვებობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ:

- ანალიზმა არ უზრუნველყო მაქსიმალურად სასურველი ინფორმაციის მოძიება, რადგან ის არ მოიცავდა მრავალფეროვან მოსაზრებებს და გამოცდილებას დასაშვებობის კრიტერიუმების გამოყენების შესაფასებლად; და
- კლიენტს არ გაუვლია კონსულტაციები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ თემებთან 2014 წლის ESP-ის დასაშვებობის ყველა კრიტერიუმის გამოყენების შესახებ.

PR 1-თან მიმართებაში - გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების შეფასება და მართვა

[...] ბანკის მენეჯმენტმა სწორად დაადგინა კუმულაციური ზემოქმედების შეფასების (CIA) საჭიროება ხარვეზის ანალიზის დროს, მაგრამ არ იზრუნა დარწმუნებულიყო, რომ CIA აკმაყოფილებდა PR 1-ის მოთხოვნებს. საბოლოოდ, ბანკის მენეჯმენტმა პროექტი დაამტკიცა ადეკვატური კვლევის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა გონივრულად პროგნოზირებადი მოპოვებადი ან სატყეო საქმიანობის იდენტიფიკაციას.

ასევე, შესაბამისობის მიმოხილვამ აჩვენა, რომ 2015 წლის გარემოზე და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებამ (2015 ESIA) და დამატებითმა გარემოსა და სოციალურმა კვლევებმა (E&S დამატებითი კვლევები) არ წარმოადგინა ალტერნატივების ანალიზი გარემოზე ზეგავლენისა და სოციალური გავლენის სათანადო გათვალისწინებით, როგორც ამას ითვალისწინებს PR 1-ის პარაგრაფი 10. გარდა ამისა, შესაბამისობის მიმოხილვამ დაადასტურა, რომ ბანკმა არ იზრუნა იმაზე, რომ კლიენტს ეცადა თანამშრომლობა შესაბამის მესამე მხარესთან (მაგ., საქართველოს მთავრობასთან), PR 1-ში მოცემული ალტერნატივების შეფასების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, როგორც ეს გათვალისწინებულია ESP 2014-ის პარაგრაფით 39.

გარდა ამისა, დადგინდა, რომ ბანკის მენეჯმენტი არ ეცადა დარწმუნებულიყო, რომ კლიენტმა შეასრულა 2014 წლის ESP მოთხოვნები გენდერთან დაკავშირებით, უგულებელყო პროექტის მიდგომაში არსებითი ნაკლოვანებების გამოვლენა ან მნიშვნელოვანი, გენდერული ჩართულობის განხორციელება დაინტერესებული მხარეების კონსულტაციების დროს, როგორც ამას მოითხოვს PR 10 პარაგრაფი 10 და 12.

PR 5-თან მიმართებაში - მიწის შეძენა, იძულებითი განსახლება და ეკონომიკური გადაადგილება

[...] ბანკის მენეჯმენტი არ ეცადა უზრუნველყო PR 5-ის მოთხოვნების გატარება საარსებო წყაროს აღდგენასთან დაკავშირებით და დაუშვა საარსებო მინიმუმის აღდგენის თვითნებური ბარიერის დადგენა (ანუ, იმ შემთხვევაში, თუ მიყენებული ზარალი > 10% ვერ დააკმაყოფილებს აღდგენითი ზომების კრიტერიუმებს, მიუხედავად PR 5-ის მოთხოვნებისა საარსებო წყაროს და ცხოვრების დონის აღსადგენად).

PR 8-თან მიმართებაში - კულტურული მემკვიდრეობა

[...] ბანკის მენეჯმენტმა დაამტკიცა კლიენტის გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასება, იმის დაზუსტების გარეშე, რომ პროექტი აკმაყოფილებდეს თემთან კონსულტაციის მნიშვნელოვან მოთხოვნებს PR 8-ის შესაბამისად. ბანკის მენეჯმენტმა არ დაადგინა, რომ ეს სფეროები საჭიროებდა შემდგომ მაკორექტირებელ ზომებს და შესაბამისად, არ მოუთხოვია და არ დაკვირვებია მათ შესრულებას. შედეგად, ბანკი არ შეეცადა დარწმუნებულიყო, რომ მნიშვნელოვანი პოტენციური გავლენა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებზე ადეკვატურად გამოვლენილი და შერბილებული ყოფილიყო, PR 8-ის მე-10 და მე-15 პუნქტების შესაბამისად.

PR 10-თან მიმართებაში - ინფორმაციის საჯაროობა და დაინტერესებული მხარეების

ჩართულობა

[...] ბანკის მენეჯმენტმა არ გაითვალისწინა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ეხებოდა კლიენტის შესაძლებლობებსა და ვალდებულებებს, უზრუნველყო დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა, როგორც ეს უნდა შესრულებულიყო 2014 წლის ESP-ის პუნქტის 30 შესაბამისად.

2.2. შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციები

შეუსაბამობის დასკვნების საპასუხოდ, ექსპერტმა ბანკისათვის თერთმეტი რეკომენდაცია ჩამოაყალიბა, როგორც ეს [შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშშია](#) აღწერილი: ოთხი მათგანი სისტემური/პროცედურული ხასიათის იყო და შვიდი კონკრეტულად პროექტისთვის გათვალისწინებული.

სისტემური და პროცედურული რეკომენდაციები EBRD-ის შეუსაბამობაზე რეაგირებისათვის

რეკომენდაცია 1: EBRD-ის კლიენტებისადმი არსებული მოთხოვნებისთვის ჩამოყალიბდეს სისტემური კონტროლის ინსტრუმენტი, რაც ბანკის მენეჯმენტს საშუალებას მისცემს უკეთ უზრუნველყოს პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნების ეფექტურად განხორციელება ESP-ის შესაბამისობასთან მიმართებით.

რეკომენდაცია 2: შეიმუშავეთ მკაფიო, დეტალურად გაწერილი სახელმძღვანელო პოლიტიკა კლიენტებისთვის ESP-ის PR7-ის მკვიდრი მოსახლეობის შესრულების სტანდარტების ეფექტური შეფასების მიმართულებით (2014 ESP-თვის და ასევე, სხვა ESP-ის განმეორებებისათვის). სახელმძღვანელო მითითებები უნდა შემუშავდეს თანამონაწილეობის პროცესის საშუალებით - მასში ჩართული უნდა იყოს მკვიდრი მოსახლეობის საკითხების არაერთი აღიარებული ექსპერტი და სამოქალაქო საზოგადოებისა და ინდუსტრიის წარმომადგენლები - და გათვალისწინებული უნდა

იყოს კარგი საერთაშორისო პრაქტიკა (GIP), რომელსაც იყენებენ როგორც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, ისე კერძო სექტორი. ეს სახელმძღვანელო მითითებები უნდა მოიცავდეს (i) კონკრეტულ რეკომენდაციებს GIP მეთოდოლოგიიდან, რომლებიც უზრუნველყოფს PR7-ის შესრულების სტანდარტების მკაცრად შეფასებას; (ii) კონკრეტული პროცესები და ზომები PR7-ის გამოყენების პროცესში კლიენტების სახელმძღვანელოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მკვიდრი მოსახლეობა არ არის აღიარებული ეროვნულ დონეზე.

რეკომენდაცია 3: მაშინ როდესაც, მესამე მხარეა პასუხისმგებელი პროექტის ადგილმდებარეობაზე, დიზაინსა და ალტერნატივების შეფასებაზე, თანმიმდევრულად მოსთხოვეთ კლიენტებს, მიმართონ შესაბამის მესამე მხარეებს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოიცავდეს გარემოს დაცვისა და სოციალურ საკითხებს. ბანკის მენეჯმენტმა უნდა მოახდინოს ბანკისა და კლიენტის მოთხოვნების დოკუმენტირება.

რეკომენდაცია 4: EBRD-ის გარემოს დაცვისა და მდგრადობის დეპარტამენტის (ESD) გუნდის შესაძლებლობების გაძლიერება გენდერულ საკითხებში და ამ სფეროში ფართო გამოცდილებისა და შესაძლებლობების მქონე გარე კონსულტანტების გამოყენების უზრუნველყოფა.

ქმედებები პროექტთან დაკავშირებული რეკომენდაციების გადასაჭრელად, პროექტის განხორციელების შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად

რეკომენდაცია 5: გადაიდგას ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ნენსკრა ჰესის პროექტისთვის ჩატარდეს PR7-ის შესრულების სტანდარტების გაფართოებული შეფასება, რომელიც აერთიანებს შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში აღწერილ IFI GIP მეთოდოლოგიას, მათ შორის ა) შეხედულებებისა და ექსპერტიზის მრავალფეროვნება და ბ) საზოგადოების კონსულტაცია ESP PR 7-ის დასაშვებობის თითოეულ კრიტერიუმთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია 6: კუმულაციური ზემოქმედების შეფასებაში (CIA) გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა (ე.ი. დაგეგმილი ან გონივრულად პროგნოზირებადი სამთომოპოვებითი სამუშაოების და სატყეო მეურნეობების განვითარების გეგმის შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შეფასების უზრუნველყოფა პროექტის არეალში).

რეკომენდაცია 7: პროექტის ალტერნატივების ანალიზში გამოვლენილი ხარვეზების მოგვარება, კლიენტთან და საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით, რათა შემუშავდეს და გაზიარდეს უფრო დაწვრილებითი ანალიზი პროექტის მდებარეობის შერჩევისა და დიზაინთან დაკავშირებით, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი თემებისათვის, აქტიური და გონივრული ფორმით. გაზიარებულ დოკუმენტში ახსნილი უნდა იყოს პროექტის ადგილის შერჩევისა და დიზაინის საფუძველი და მნიშვნელობა როგორც სოციალური, ასევე, ეკოლოგიური თვალსაზრისით, სხვა განხილულ

ვარიანტებთან შედარებით და პროექტის დაგეგმილი ფინანსური სარგებელისა და ხარჯების დასაბუთება.

რეკომენდაცია 8: გენდერული ზემოქმედების შეფასების დამატებითი ეტაპის ხელშეწყობა i) იმ საკითხების შესაფასებლად, რომელიც არ არის ამომწურავად მოგვარებული კლიენტის გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების მეშვეობით და ii) საკმარისი შემამსუბუქებელი ზომების დადგენის უზრუნველყოფა, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება გენდერული რისკების შემსუბუქებაზე, რომელიც დაკავშირებულია დიდი (ძირითადად) კაცი სამუშაო ძალის შემოდიანებასთან.

რეკომენდაცია 9: ჩაერთეთ კლიენტთან მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმაში (LALRP) არსებული ხარვეზების მოგვარებაში, მათ შორის, საარსებო წყაროს აღდგენის დასაშვებობის თვითნებური ბარიერის მოხსნის ჩათვლით.

რეკომენდაცია 10: ხელი შეუწყვეთ კულტურული მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების შემდგომ ეტაპს, რათა დადგინდეს პოტენციური ზემოქმედება არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაზე პროექტის არეალში, რომელიც სრულად არ არის ასახული კლიენტის გარემოზე და სოციალურ გარემოზე გავლენათა შეფასებაში და დადგინდეს შესაბამისი შემარბილებელი ზომები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებთან კონსულტაციით.

რეკომენდაცია 11: დარწმუნდით, რომ 2014 წლის ESP-ის 30-ე პუნქტის შესაბამისად, კლიენტის გარემოს დაცვის და სოციალური გუნდის ყველა წევრი ფლობს საჭირო კომპეტენციასა და შესაძლებლობებს პროექტის სირთულეებისა და სენსიტიურობის სამართავად, ბანკის გარემოს დაცვის და სოციალური სტანდარტების შესაბამისად.

2.3. EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა

ექსპერტის დასკვნებისა და რეკომენდაციების საპასუხოდ, ბანკმა მოამზადა მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა ([MAP](#)), რომელიც დამტკიცდა საბჭოს მიერ და გამოქვეყნდა 2020 წლის 5 აგვისტოს. MAP-ში აღწერილია განსახორციელებელი 11 ქმედება.

მენეჯმენტის ქმედება 1: EBRD-ის კლიენტებისადმი მოთხოვნებისთვის შემუშავდეს და განხორციელდეს სისტემური დაკვირვების მექანიზმი, რაც ბანკის მენეჯმენტს საშუალებას მისცემს უზრუნველყოს პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნების დროულად განხორციელება ESP-ის შესრულებასთან მიმართებით. ეს სისტემა იქნება გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების დეპარტამენტის (ESD) უზრუნველყოფის ჩარჩოს შემადგენელი და გამოყენებული იქნება ყველა A კატეგორიის პროექტისთვის, რაც საშუალებას მისცემს ჩაწეროს, თვალყური ადევნოს და დახუროს კლიენტებისთვის მიწოდებული მიმოხილული კომენტარები.

მენეჯმენტის ქმედება 2: 2019 წლის ESP-ისა და ახალი PR7-ის სახელმძღვანელო შენიშვნაში შესწორებული PR7-ის ხარვეზის ანალიზის ჩატარება, რომელიც ამჟამად მზადების პროცესშია, ამ რეკომენდაციის გათვალისწინებით, ყველა ელემენტის ჩართვის უზრუნველსაყოფად. PR7-ის სახელმძღვანელო შენიშვნის დაასრულება და გამოქვეყნება.

მენეჯმენტის ქმედება 3:

ქვე-ქმედება 1: განსაზღვრეთ კარგი საერთაშორისო პრაქტიკა ალტერნატივების შესაფასებლად და მიიღეთ ეს, როგორც შიდა სახელმძღვანელო, როგორც ESD-ის უზრუნველყოფის ჩარჩოს შემადგენელი ნაწილი.

ქვე-ქმედება 2: მოამზადეთ გამჟღავნებისთვის შიდა სახელმძღვანელო მითითებები, როდესაც ალტერნატივების ანალიზი უკვე განხორციელებული იქნება ბანკის პროექტში ჩართვამდე და ბანკის მიერ GIP-ის მიმართ ასეთი ანალიზის განხილვის შედეგები განხორციელებული იქნება.

მენეჯმენტის ქმედება 4:

ქვე-ქმედება 1: გენდერული ძალადობისა და შევიწროების იდენტიფიკაციისა და მენეჯმენტის ინსტრუქცია ამჟამად დასრულების პროცესშია და გამოქვეყნდება EBRD-ისა და კლიენტების მიერ გამოყენებისთვის.

ქვე-ქმედება 2: შემუშავებულია GBVH-ის რისკების სკრინინგის ინსტრუმენტები და 2019 წელს ESD-ის პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი გენდერულ ძალადობასა და შევიწროებაზე. GBVH-ის შესახებ დაგეგმილია დამატებითი ტრენინგი GBVH-ის სახელმძღვანელოს გამოქვეყნების შემდეგ.

ქვე-ქმედება 3: შემუშავდება შიდა სახელმძღვანელო უფრო ფართო გენდერულ საკითხებზე 2019 წლის ESP-ისა და მასთან დაკავშირებულ შესრულების სტანდარტებზე დაყრდნობით და ESD-ის ჩაუტარდება ტრენინგი, რაც პროექტებში გენდერული საკითხების/რისკების მოგვარებაში დაეხმარება.

მენეჯმენტის ქმედება 5: კონსულტაციები პროექტის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, პროექტის სპონსორებთან, დამფინანსებლებთან, საქართველოს მთავრობის შესაბამის დეპარტამენტთან და ამ სფეროში საერთაშორისო და ადგილობრივ აღიარებულ ექსპერტებთან შესაბამისი შემდეგი ნაბიჯების დასადგენად პროექტის ESIA-ს და სვანეთში PR7-ის გამოყენების უფრო ფართო შინაარსის კონტექსტში.

მენეჯმენტის ქმედება 6: მენეჯმენტი გააგრძელებს ურთიერთობას პროექტის სპონსორებთან და მათ მრჩეველებთან, რათა უზრუნველყოს CIA-ს განახლება და გამოქვეყნება PCM-ის შესაბამისობის ანგარიშის რეკომენდაციების გასათვალისწინებლად.

მენეჯმენტის ქმედება 7: მენეჯმენტი გააგრძელებს თანამშრომლობას პროექტის სპონსორებთან და მათ მრჩევლებთან, MAP-ის მესამე პუნქტის პარალელურად, ალტერნატივების შეფასების მოსაგვარებლად.

მენეჯმენტის ქმედება 8: შემოთავაზებული ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის განხორციელება გაითვალისწინებს დასკვნებზე რეაგირებას, რადგან ისინი ეხება გენდერულ და ინკლუზიის საკითხებს. TC პროექტის პირობები გაზიარებული იქნება PCM-ის ოფისთან და მოიცავს ორ ეტაპიან მიდგომას, პირველი - გენდერული ზემოქმედების შეფასების დამატებითი ეტაპი და მეორე, თავიდანვე გათვალისწინებული ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა, რათა გასცდეს EBRD-ის ESP-ის შესაბამისობას.

მენეჯმენტის ქმედება 9: მენეჯმენტი გააგრძელებს მსესხებელთან და მათ მრჩევლებთან ურთიერთობას, რათა უზრუნველყოს LALRP-ის განახლება PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციების გასათვალისწინებლად, მათ შორის, უფლებების მატრიცის სპეციფიკურ ზღვრებზე მითითებების წაშლა.

მენეჯმენტის ქმედება 10: მენეჯმენტი გააგრძელებს კლიენტებთან და მათ მრჩევლებთან ურთიერთობას, რათა უზრუნველყოს კულტურული მემკვიდრეობის გავლენის შეფასების განახლება, რომ მოხდეს PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციების გათვალისწინება. განახლებული შეფასება შექმნის EPC-ის მენეჯმენტის გეგმების საფუძველს, რომელიც შემდგომ გადაიხედება პროექტის განხორციელების ადრეულ პერიოდში.

მენეჯმენტის ქმედება 11: მენეჯმენტი თანამშრომლობს კლიენტთან, რათა ჩაატაროს გარემოს დაცვის და სოციალური მმართველობის მიმოხილვა და შეაფასოს პროექტის შესაძლებლობების მოთხოვნები პროექტის სხვადასხვა ვალდებულებების შესაბამისად, რომ უზრუნველყოს გარემოს დაცვის და სოციალური მოთხოვნების სრულად ათვისება და განხორციელება. ამ შედეგების შეფასების შედეგები გაზიარდება PCM-ის ოფისთან, მისი განვითარების კვალდაკვალ.

3. მონიტორინგის ანგარიში

ეს ანგარიში მოიცავს მონიტორინგის პირველ პერიოდს, 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის იანვრამდე, საბჭოს მიერ MAP-ის დამტკიცებიდან, და ასახავს MAP-ის განხორციელების სტატუსს. იმ პერიოდში IPAM-მა შეადგინა [MAP მონიტორინგის გეგმა](#), რომელიც გამოქვეყნდა 2020 წლის ნოემბერში [IPAM-ის საქმეთა რეესტრში](#), მონიტორინგის პროცესის წარმართვის მიზნით.

ამ პერიოდისთვის, MAP-მა აიღო რამდენიმე ვალდებულება მენეჯმენტის 1, 4, 5, 8 და 10 ქმედებებთან დაკავშირებით. მონიტორინგის გეგმაში IPAM-მა დეტალურად

წარმოადგინა მონიტორინგის ქმედებები, რომლებსაც ის განხორციელებს თითოეული ვალდებულებისათვის, რომ ისინი შესრულებულად ჩათვალოს¹.

3.1 პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის აქტივობები

IPAM გაეცნო მენეჯმენტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას, იმუშავა ბანკის თანამშრომლებთან, რათა უკეთ გაერკვია რამდენად ხდება კონკრეტული რეკომენდაციების შესრულება MAP-ის საშუალებით. გარდა ამისა, IPAM ვირტუალურად შეხვდა მოსარჩელებს, რომ მოესმინა მათი შეხედულებები და პრობლემები.

მენეჯმენტის მოქმედება 1-თან დაკავშირებით, IPAM შეხვდა მენეჯმენტს პრეზენტაციისთვის, თვალყურისდევნების სისტემის შესახებ, რომელიც შემუშავებულია რეკომენდაციის 1-ის შესასრულებლად². სისტემა წარმოადგენს პროექტთან დაკავშირებულ ელექტრონულ ცხრილს, რომელშიც ESD-ის პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა უნდა შეიტანონ კლიენტთან წარდგენილი მოთხოვნები და ვადები. ინსტრუმენტის გამოყენება შეტანილია ESD-ის უზრუნველყოფის პროცესში.

მისი ქმედითობის შესამოწმებლად, IPAM ერთ წელიწადში მიმოიხილავს პორტფელის A კატეგორიის ერთ-ერთ პროექტს.

მე-4 ქმედებასთან დაკავშირებით, IPAM-მა მიიღო მენეჯმენტისგან და განიხილა სახელმძღვანელო მითითება „გენდერულ ძალადობასა და შევიწროებაზე რეაგირება: გარგი პრაქტიკა კერძო სექტორისათვის“³. მითითება შეიმუშავა EBRD-იმ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) და CDC ჯგუფთან (CDC) თანამშრომლობით და საჯაროდ გამოაქვეყნა 2020 წლის ივლისში. მენეჯმენტმა ასევე IPAM-ს მიაწოდა ინფორმაცია და GBVH რისკის სკრინინგის საშუალებები და ტრენინგის მასალები GBVH-ზე, რომლებიც გამოყენებულ იქნა ტრენინგებზე ESD პერსონალისთვის.

მენეჯმენტის მე-5 ქმედება ადგენს ვალდებულებას კონსულტაციები ჩატარდეს პროექტის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, პროექტის დონორებს, პროექტის გამსესხებლებს, საქართველოს მთავრობის შესაბამის უწყებებს და ამ სფეროში საერთაშორისო და ადგილობრივ აღიარებულ ექსპერტებთან, რათა განისაზღვროს შესაბამისი შემდეგი ნაბიჯები პროექტის ESIA-სთან მიმართებაში და PR7-ის გამოყენების უფრო ფართო კონტექსტი სვანეთში. ამ მიზნით, მენეჯმენტმა IPAM-ს წარუდგინა წინასწარი ანგარიში პირველ ფაზაში ჩატარებული კვლევითი სამუშაოს მიმოხილვის

¹ PAP-ის მიხედვით, IPAM ჩათვლის, რომ მოქმედება დასრულებულია, როდესაც განხორციელების გეგმები და ვალდებულებები ეფექტურად შესრულდება; და გრაფიკი შესრულებულია.

² რეკომენდაცია 1: EBRD-ის კლიენტებისადმი მოთხოვნებისთვის შემუშავდეს და განხორციელდეს სისტემური დაკვირვების მექანიზმი, რაც ბანკის მენეჯმენტს საშუალებას მისცემს უზრუნველყოს პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნების დროულად განხორციელება ESP-ის შესრულებასთან მიმართებით.

³ სახელმძღვანელო მითითება საჯაროდ ხელმისაწვდომია [CDC](#) საიტზე.

შესახებ, რომელიც ანალიზებს სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოყენებულ კრიტერიუმებს მკვიდრი მოსახლეობის მიმართ.

მენეჯმენტის მე-8 ქმედებისათვის, პერიოდის ვალდებულება იყო გენდერული ზემოქმედების შეფასების ტექნიკური დავალება (ToR). ToR მოიცავს პროექტისთვის გენდერული სამოქმედო გეგმის შეფასებასა და შემუშავებას, ასევე რეკომენდაციებს EBRD-ის მხარდაჭერით ტექნიკური თანამშრომლობისა და საზოგადოების ინვესტიციის პროგრამის შემუშავებისათვის.

დაბოლოს, მენეჯმენტის მე-10 ქმედებასთან დაკავშირებით, ამ პერიოდის განმავლობაში, მენეჯმენტმა IPAM-ს მიაწოდა მოთხოვნა კლიენტის წინადადებებთან დაკავშირებით კულტურული მემკვიდრეობის ზემოქმედების შეფასების განსახილველად. ToR-ები ასახავენ სვანეთის რეგიონის როგორც ნენსკრას, ისე ნაკრას ხეობებში საბაზისო კულტურული მახასიათებლების დასადგენად ჩართულობის პროგრამის შემუშავებას, პროექტის ზემოქმედების შეფასებას კულტურულ მემკვიდრეობაზე - როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ და კონკრეტული ზომების შემუშავებას ამგვარი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად.

3.2 მოსარჩელეთა ხედვა

IPAM-მა შეხვედრა გამართა მოსარჩელებთან 2020 წლის 14 დეკემბერს. შეხვედრის დროს, მოსარჩელებმა დამატებითი ინფორმაცია მიაწოდეს მათი ხედვის შესახებ მონიტორინგსა და მიმდინარე პროექტის განვითარებასთან დაკავშირებით. მათ ხაზი გაუსვეს სვანეთში PR7-ის გამოყენების ანალიზის მნიშვნელობას და იმის უზრუნველყოფას, რომ ეს უკანასკნელი ემყარებოდეს გამჭვირვალე, ძლიერ, დამოუკიდებელ პროცესს, რომელიც სვანეთთან კონსულტაციებსაც გულისხმობს. მათ ასევე კომენტარი გააკეთეს კონსულტაციის მნიშვნელობის შესახებ სხვადასხვა კვლევებისა და გეგმებისათვის, რომლებიც MAP-ის ნაწილი არის ან იქნება. გარდა ამისა, მათ IPAM-ს აცნობეს, რომ საკონტრაქტო პრობლემების გამო, პროექტის ადგილზე არანაირი აქტივობა არ არის.

კომენტარების ეტაპზე, ანგარიშის გამოცემამდე, IPAM კიდევ ერთხელ დაუკავშირდა მოსარჩელებს. შეხვედრის დროს მათ შემოთქვა გამოთქვეს მენეჯმენტის მხრიდან კონსულტაციის ნაკლებობის შესახებ, PR7-ის მოქმედების შეფასების ქმედება 5, ფაზა 1-თან დაკავშირებით. მათ აღნიშნეს, რომ შესაბამისობის მიმოხილვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა იყო სვანეთთან კონსულტაციისა და მონაწილეობის ნაკლებობა მათ თემებზე პროექტის ზეგავლენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ისინი შიშობენ, რომ იგივე ქმედება შეიძლება განმეორდეს მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის განხორციელებისას, რითაც მისი ღირებულება შემცირდება პროექტის მდგრადობისთვის.

შეხვედრის დროს მოსარჩელებმა დადებითად შეაფასეს მენეჯმენტის მიერ მიღწეული პროგრესი 1.1, 3.1, 4, 8.1 და 10 ქმედებებთან დაკავშირებით. ამასთან, მათ ხაზი გაუსვეს

ინფორმაციის დროულად მიღების აუცილებლობას, თუ როგორ გეგმავს მენეჯმენტი გენდერული და კულტურული მემკვიდრეობის გავლენის შეფასების პროცესში პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისა და შესაბამისი დაინტერესებულ მხარეების ჩართვას.

3.3 მონიტორინგის დასკვნები

ეს ანგარიში მოიცავს მონიტორინგის პირველ პერიოდს, 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის იანვრამდე, საბჭოს მიერ MAP-ის დამტკიცებიდან, და ასახავს MAP-ის განხორციელების სტატუსს. იმ პერიოდში IPAM-მა შეადგინა [MAP მონიტორინგის გეგმა](#), რომელიც გამოქვეყნდა 2020 წლის ნოემბერში [IPAM-ის საქმეთა რეესტრში](#), მონიტორინგის პროცესის წარმართვის მიზნით, რათა IPAM-მა ქმედებები ჩათვალოს შესრულებულად.

მონიტორინგის ამ პირველი პერიოდისთვის, MAP-მა აიღო რამდენიმე ვალდებულება მენეჯმენტის 1, 4, 5, 8 და 10 მოქმედებებთან დაკავშირებით. IPAM გაეცნო მენეჯმენტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას, იმუშავა ბანკის თანამშრომლებთან, რათა უკეთ გაერკვია რამდენად ხდება კონკრეტული რეკომენდაციების შესრულება MAP-ის საშუალებით. გარდა ამისა, IPAM ვირტუალურად შეხვდა მოსარჩელებს, რომ მოესმინა მათი შეხედულებები და პრობლემები.

IPAM-ის ქმედებების მონიტორინგის საფუძველზე და თითოეული ქმედების შესრულების მოთხოვნების შესაბამისად, როგორც ეს გაწერილია MAP-ის განხორციელების მონიტორინგის გეგმაში, IPAM-მა დაადგინა, რომ ქმედება 1 i), ქმედება 3 i), ქმედება 4 i) და ii), ქმედება 8 i) და ქმედება 10 i) შესრულებულია. მოსარჩელების მიერ წამოჭრილი საკითხების გათვალისწინებით, IPAM მიიჩნევს, რომ მენეჯმენტს საშუალება აქვს ითანამშრომლოს მოსარჩელებთან საკითხების გასარკვევად და საერთო მოსაზრების მისაღწევად და, ამრიგად, ღიად დატოვებს ქმედება 5-ს, ფაზა 1, (სამაგიდო შესწავლა).

აქტივობების შეჯამება

S.No.	აქტივობა	ვადები
1.	შესაბამისობის განხილვის დასრულება	ივლისი 2020
2.	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის დამტკიცება	აგვისტო 2020
3.	MAP-ის მონიტორინგის გეგმა	ნოემბერი 2020
4.	მონიტორინგის პირველი ანგარიში, რომელიც მოიცავს 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის იანვრამდე პერიოდს	აპრილი 2021

IPAM გააგრძელებს სხვა ქმედებების მონიტორინგს, რომლებიც გათვალისწინებულია MAP-ის მონიტორინგის გეგმის შესაბამისად და ინფორმაციას გააზიარებს მათ სტატუსის შესახებ შემდეგი მონიტორინგის პერიოდში, რომელიც მოიცავს 2021 წლის თებერვლიდან 2021 წლის ივლისამდე პერიოდს.

3.4 ცხრილი 1: MAP–ის განხორციელების პროგრესი - პირველი მონიტორინგის პერიოდში განხორციელებული მოქმედებები და ამჟამინდელი სტატუსი

ცხრილში 1 მოცემულია ის ქმედებები, რაც მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში განხორციელდა, მონიტორინგის აქტივობები, რომელსაც IPAM განახორციელებდა და შესრულების განსაზღვრა, PAP-ით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

Action No.	EBRD–ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებების სტატუსი	IPAM-ის შენიშვნა
1.	კლიენტების მიმართ EBRD-ის მოთხოვნებისთვის შემუშავდეს და განხორციელდეს სისტემური თვალყურისდევნების სისტემა, რაც საშუალებას მისცემს ბანკს უზრუნველყოს, რომ ESP-ის დაცვასთან მიმართებით, პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნები დროულად განხორციელდეს. ეს სისტემა შეევა ESD– ის (EBRD-ის გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების დეპარტამენტის) უზრუნველყოფის ჩარჩოში და გამოყენებული იქნება ყველა A კატეგორიის პროექტისთვის, რათა შესაძლებელი იყოს ჩაწერა, თვალყურის დევნება და მიმოხილვის კომენტარების დახურვა, რაც კლიენტებს მიეწოდება. მენეჯმენტის ბოლო ვადა: დაუყოვნებლად	მოითხოვეთ შეხვედრა, რათა გაეცნოთ თვალყურის დევნების ინსტრუმენტს. გამოავლინეთ საქმის ნიმუში, რომ გამოსცადოთ გამოყენება.	იანვარი 2021	ოპერაციული თვალყურის დევნების ინსტრუმენტი არსებობს და მუშაობს	შესრულებული	IPAM–მა განიხილა თვალყურისდევნების ინსტრუმენტი და მენეჯმენტმა გამოავლინა ნიმუში პროექტი გამოყენების შესამოწმებლად.

Action No.	EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებების სტატუსი	IPAM-ის შენიშვნა
3.	(i) განსაზღვრეთ კარგი საერთაშორისო პრაქტიკა ალტერნატივების შეფასებისთვის და მიიღეთ ეს შიდა სახელმძღვანელოდ, როგორც ESD-ის უზრუნველყოფის ჩარჩოს ნაწილი. (ii) მოამზადეთ გასაჯაროებისთვის შიდა მითითებები, როდესაც ალტერნატივების ანალიზი უკვე ჩატარდა ბანკის პროექტში ჩართვამდე და ბანკის მიმოხილვის, GIP-თან მიმართებით, ასეთი ანალიზის შედეგებამდე. მენეჯმენტის ბოლო ვადა: პირველი მონიტორინგის პერიოდის ბოლოს (ზემოთ იხილეთ მენეჯმენტის განმარტება)	მენეჯმენტთან შეხვედრის მოთხოვნა მიღებული პროცესისა და ჩატარებული ანალიზის გასაგებად, ალტერნატიული შეფასებისთვის, GIP-ის განსაზღვრის მიზნით.	იანვარი 2021	შეხვედრა მოწვეულია	შესრულებული	IPAM დაუკავშირდა მენეჯმენტს 2021 წლის 12 იანვარს, რათა უკეთ გაეგო GIP-ის განსაზღვრისათვის ადაპტირებული პროცესი, ალტერნატიული შეფასებისთვის და ამ თვალსაზრისით ჩატარებული ანალიზი.
4.	(i) გენდერული ძალადობისა და შევიწროების იდენტიფიცირება და მენეჯმენტის მითითებები ამჟამად დასრულების პროცესშია და გასაჯაროვდება EBRD-ის და კლიენტების მიერ გამოყენებისთვის. მენეჯმენტის ბოლო ვადა: პირველი მონიტორინგის პერიოდის ბოლოს (ზემოთ იხილეთ მენეჯმენტის განმარტება)	გენდერული ნიშნით შევიწროებისა და ძალადობის (GBHV) იდენტიფიცირების და მენეჯმენტის სახელმძღვანელო შენიშვნის მიმოხილვა	იანვარი 2021	სახელმძღვანელო შენიშვნა განხილულია IPAM-ის მიერ სახელმძღვანელო შენიშვნა გასაჯაროებულია მენეჯმენტის მიერ	შესრულებული	IPAM-მა განიხილა სახელმძღვანელო მითითება გენდერული ძალადობისა და შევიწროების იდენტიფიკაციის შესახებ და დაადასტურა მისი გამჟღავნება ამ ბმულზე .

Action No.	EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებების სტატუსი	IPAM-ის შენიშვნა
	(ii) შემუშავდა GBVH-ის რისკების სკრინინგის ინსტრუმენტები და 2019 წელს ESD -ის პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი გენდერულ ძალადობასა და შევიწროებაზე. დაგეგმილია დამატებითი ტრენინგი GBVH-ის შესახებ GBVH-ის სახელმძღვანელოს გამოქვეყნების შემდეგ. მენეჯმენტის ბოლო ვადა: ქმედება დასრულდა და დამატებითი ტრენინგი ჩატარდება 2020 წლის მეორე ნახევარში.	მოითხოვით მენეჯმენტთან შეხვედრა, რათა გაეცნოთ გენდერული რისკების სკრინინგის ინსტრუმენტებს და პროექტებში მათ გამოყენებას. ჩატარებული ტრენინგების დოკუმენტური მტკიცებულებების გადასინჯვა.	იანვარი 2021	მენეჯმენტისგან მიღებულია უკუკავშირი ინსტრუმენტის სარგებლიანობაზე ტრენინგის დოკუმენტების მიღება IPAM-ის მიერ	შესრულებული	IPAM-მა შეხვედრა გამართა მენეჯმენტთან, სადაც წარმოდგენილი იყო ინსტრუმენტები და განიხილა სასწავლო მასალები.
5.	კონსულტაციები პროექტის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, პროექტის სპონსორებთან, პროექტის გამსესხებლებთან, საქართველოს მთავრობის შესაბამის დეპარტამენტთან და ამ სფეროში საერთაშორისო და ადგილობრივი აღიარების მქონე ექსპერტებთან, რათა განისაზღვროს შესაბამისი შემდეგი ნაბიჯები პროექტის ESIA-ს კონტექსტში და სვანეთში PR7-ის გამოყენებადობის უფრო ფართო შინაარსისთვის. მენეჯმენტის ბოლო ვადა: პირველი ეტაპი	I ფაზის ანგარიშის მიმოხილვა.	დეკემბერი 2020	I ფაზის ანგარიშის მიმოხილვა.	ღია	IPAM-მა განიხილა სამაგიდო კვლევა, რომელიც ჩატარდა I ფაზის ანგარიშის სახით.

Action No.	EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებების სტატუსი	IPAM-ის შენიშვნა
	(სამაგიდო კვლევა): 2020 წლის ნოემბერი მეორე ეტაპის ბოლო ვადა (საველე კვლევა): 24 თვე MAP-ის დამტკიცებიდან - 2022 წლის აგვისტო					
8.	შემოთავაზებული ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის განხორციელებისგან მოსალოდნელია დასკვნების გათვალისწინება, რადგან ის ეხება გენდერს და ინკლუზიას. ტექნიკური თანამშრომლობის (TC) პროექტის ტექნიკური დავალება გაზიარებული იქნება PCM ოფისთან და მოიცავს ორსაფეხურიან მიდგომას, პირველი, რომელიც წარმოადგენს გენდერული ზემოქმედების შეფასების დამატებით ფენას და მეორე თავდაპირველად გათვალისწინებული ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა, რომ გასცდეს EBRD-ის ESP-თან შესაბამისობას. მენეჯმენტის ბოლო ვადა: ეტაპი I (გენდერული ზემოქმედების შეფასება) – 2021 წლის აგვისტო ეტაპი II – ტექნიკური თანამშრომლობის (TC) პროექტი -24 თვე სესხის ხელმოწერის შემდეგ	მოითხოვით და გადახედეთ გენდერული ზემოქმედების შეფასების TOR (I ფაზა).	დეკემბერი 2020	ToR განიხილავს IPAM.	შესრულებული	IPAM- მა მიმოიხილა გენდერული ზემოქმედების შეფასების ToR (I ფაზა).

Action No.	EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებების სტატუსი	IPAM-ის შენიშვნა
10.	მენეჯმენტი გააგრძელებს კლიენტებთან და მათ მრჩეველებთან ურთიერთობას, რათა უზრუნველყოს კულტურულ მემკვიდრეობაზე გავლენის შეფასების განახლება, PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციების გასათვალისწინებლად. განახლებული შეფასება შექმნის EPC-ის მენეჯმენტის გეგმების საფუძველს, რომელიც შემდგომ პროექტის განხორციელების ადრეულ პერიოდში გადაიხედება. მენეჯმენტის ბოლო ვადა: 12 თვე MAP-ის დამტკიცებიდან (თუ მოგზაურობის შეზღუდვები მოიხსნება)	კულტურულ მემკვიდრეობაზე გავლენის შეფასებაზე TOR-ის მიმოხილვა	ოქტომბერი 2020	TOR-ის მიმოხილვა კულტურული მემკვიდრეობის გავლენის შეფასების შესახებ.	შესრულებული	IPAM-მა განიხილა ToR კულტურული მემკვიდრეობის გავლენის შეფასების შესახებ.